

№1. 2020 წ.

საზოგადო



კონს-კონკრეტული ყველაზე პაციენტისთვის

საყმაფვილო ჟურნალ „იალქის“ ნობათი



აბა, განი, აბა, განი,
გაიშალა იალქანი,
უხმობს ზურგის ქარს აფექიო,
შევეგებოთ ჩვენც დაფიონს!

„აზრიო“ №1 (18). 2020 წ.

პონა-პრეზული ყველაზე პატარებისთვის

„აფექიოს“ ნორჩი ავტორები



ბგ. 12



ბგ. 20



მზია ჩხეთიანი

მზემ თქვა

მზემ თქვა, ჭიტა-ჭიტაო,
თქვენთან ყოფნა მინდაო,
შენ სად მიიპარები,
თოვლი, შეგეშინდაო?
თოვლმა წამოიტირა,
კაბა გამეცვითაო!

მზე კი ჭიტა-ჭიტალა
ჩვენთან შემოიპარა,
ჩუმად ჭუჭრუტანაში:
— ადე, ბიჭო, ნიკა, რა!
შენთან მინდა თამაში!

გაიღვიძა ნიკამ და
რა ხდებაო, იკითხა,
ჩაეხუტა დედიკოს,
მოეხვია მამასაც
და ხტუნია მზის სხივსაც
გ ა ე თ ა მ ა შ ა.



ფეხშიშველი ზეპემოტი

ასჩაჩვია შარვლის ტოტი,
ჩარჩენია ლაფში ბოტი
და ტირილით სახლში მოდის
ფეხშიშველი ბეჭემოტი.



ისევ შენი ბრალი არი,
ბეჭემოტო, მართლაც, ბოთე!
მშრალში ველარ გაიარე,
რალა ლაფში ჩააბოტე?!

კიონცელ მხელაში – ჰავლენი



დიდი ქართველი მეფე – ვახტანგ გორგასალი, რომელმაც დააარსა თბილისი, გამეფდა 15 წლის ასაკში, 457 წელს.

21 წლის იყო, როცა ცოლად შეირთო სპარსეთის (დღევანდელი ირანი) შაჰის ქალიშვილი, სახელად ბალანდუხტი.

დედოფალთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა მისი აღმზრდელი, სპარსელი დიდებული. მალე ორივე მოინათლა და აღმზრდელს გაქრისტიანების შემდეგ დაერქვა რაჟდენი. ის მეფემ ჯარის სარდლად დანიშნა.

თანამემამულის ქრისტეს რჯულზე

მოქცევამ განარისხა სპარსეთის შაჰი – პერზი და დიდალი ლაშქრით შემოესია საქართველოს. ერთ-ერთი შეტაკების დროს სპარსელებმა ტყვედ ჩაიგდეს რაჟდენი.

როგორთ მასხი

ციცს

მწვანე ბორცვზე ნაზი ტიტა
გაშლილა და ღუის წითლად,
გვირგვინი აქვს ნამით სავსე,
დალევს, მზესაც შესთავაზებს.
მზეც გრილდება ნება-ნება
და თან ტიტას ეფერება.



ყსნებს

ცალ ფეხზე დგას თეთრი ყანჩა,
ნუთუ ცალი სხვაგან დარჩა?!
– არაფერიც!

აი, წყალი! აი, ზეცა! –
ყანჩამ ფეხი აიკეცა.
სძინავს კიდეც ცალფეხმოხრილს,
ორივე ფეხს ხომ არ მოლლის?!



„ახოვანი წყობათა
შინა და რჩეული
მებრძოლი“ წრომში
დაბანაკებულ შაჰს
მიჰვარეს. პეროზმა
მისგან ქრისტიანობის
უარყოფა მოითხოვა.
მტკიცე უარის მიღების
შემდეგ ჯალათების
სანამებლად ჯერ
დილეგმი ამყოფეს, მერე
კი ქრისტეს დარად

გააკრეს ჯვარზე. როგორც წერს მემატიანე, რაუდენმა „გააკვირვა
ანგელოზები და შეარცხვინა ეშმაკნი“.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ირანელები უკვე განდევნეს
საქართველოდან, ვახტანგ გორგასლის ბრძანებით, რაუდენი
წრომიდან გადმოასვენეს და პატივით დაკრძალეს მისივე სახელზე
აგებულ ნიქოზის ეკლესიაში.

ეკლესიამ წმინდანს „პირველმოწამე“ უწოდა.



მორის ფოტოები

მზეთან ერთად

მზე ჩამოდის ფეხით რიფან,
ფანჯარაში ჭარება ჩიჭაფა.
იმ სიმღერის ჭიჭიყუს იწყებს,
მე რომ მომწოდე,
შენ რომ გინდა!

მზეთან ერთად წერზე ვდგები,
სურვილი მაქვს მზისერ წმინდა,
ისეთ წიჭადა გავიზრდები,
საქართველოვა,
შენ რომ გინდა!



ეს არის ძვირფასი თვლებით მოჭედილი თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, რომელიც დღესაც სამეგრელოში, ხობის მონასტერში ინახება.

დაიმახსოვრეთ, პატარებო: მთვარე გარს უვლის დედამინას; ამისთვის მას 1 თვე სჭირდება, ხოლო დედმინა სხვა 7 პლანეტასთან ერთად, მზის გარშემო ბრუნავს.

იესო საკუთარი სახელია, ქრისტე კი წოდებაა და ის ბერძნული „ქრისტოსიდან“ მომდინარეობს, რაც „მირონცხებულს“ ნიშნავს (მირონს ეკლესიაში ადამიანებს ცხებენ ნათლობისას ან მეფედ კურთხევის დროს).



ჭიანჭველა

ჭიანჭველები დაცოცავენ სწორ ხაზად, რომელსაც „ჭიანჭველების ჯარს“ უწოდებენ. ჯარს, შეიძლება, ქმნიდეს 10.000 ჭიანჭველაც.

ლია – ტალახიანი გუბეა, სადაც ოქვენ გიყვართ, პატარებო, ფეხების ჩატყაპუნება.

თოვლი მოდის, თურმე, დაბალი სიმაღლის ლრუბლიდან; ამიტომაც ყინულის ეს კრისტალები მინამდე გადნობას ვერ ასწრებს.

ქართულ ზღაპრებში ოჩოპინტრე – ნადირთა მეფეა.

თომას ედისონს, რომელმაც ნათურა გამოიგონა (XIX ს.-ის 80-იან წლებში), თურმე ძალიან ეშინოდა სიბნელის.



თამარ მეფის ჯვარი



ედისონის ნათურა



ორემი

ირმების უმეტესობას აქვს დიდი, მოძრავი ყურები, რომლებიც მუდამ აცქვეტილია. ჩრდილოეთის ირემი ირმის ერთადერთი სახეობაა, რომლის მდედრებსაც რქები აქვთ.

მგალობელი ფრინველის ბარტყები სიმლერას იწყებენ გამოჩეკიდან 10 დღეში.



გურამ პეტრიაშვილი

ნეფაძ, შენა...

ნაირ-ნაირი წვიმების
ციურო დასაგუბელო,
ხან ვითომ ციხე-კოშკი ხარ,
ხან ვითომ ცხენი უბელო...

.....

თამაშობ წვიმის წვეთებით,
ნეტაი, შენა, ღრუბელო!..


მუღმუღმის საიდუმლო

სოფლის ახლოს
თივისა დგას ბულულები,
სადაც ღამეს
ათენებენ ბულბულები
იქ მთელ ღამეს
ჭრიჭინები ჭრიჭინებენ,
იმ ჭრიჭინში
ბულბულები იძინებენ.

და სიზმრები აქვთ
ბულბულებს მხიარული
სიმღერა და მთვარის
შუქზე სიარული...

.....

ვიცი თქვენი საიდუმლო,
ბულბულები:
რად არა ხართ
არასოდეს უგუნებოდ!



წა და წისია

ნანა ჭანტურია



ამ ზღაპრით თქვენ გაიცნობთ კეთილ და გონიერ, მუდამ მომლიმარ ცისიას. როგორ დაერქვა ეს სახელი, ამასაც გიამბობთ.

კითხვაზე, ყველაზე მეტად რა გიყვარსო, ღიმილით პასუხობდა, ღიმილი და ცაო.

— რა კარგია, შენ რომ არსებობ! — გაბრწყინებული თვალებით ხშირად მისჩერებოდა ცას, — ისიც ამხელა და ასეთი ცისფერი, ლამაზი!

ერთ ლამეს, უფრო სწორად, ძილში გოგონა ძალიან გახალისდა. დაესიზმრა ცა, რომელიც მას ელაპარაკებოდა:

— ჩემო კეთილო გოგონავ, ნუ გიკვირს იმ ადამიანების, ჩემზე რომ გეკითხებიან, მალლა რას იყურები, იქ რა დაკარგეო?! ამან არ დაგაღონოს. და, იცოდე, არც ჩვენი

შეხვედრაა სიზმარში შემთხვევითი!

ცასთან მოლაპარაკე გოგონა ხასხასად აბიბინებულ მინდორში იდგა. მოშორებით კი ხშირტოტებიანი ხე-ყვავილი შრიალებდა. სიზმარში ხომ ჭრელი ფერები შუქებად ციალებს. ამ უცნაური ნარგავის ფერად-ფერადი ფოთლები ნათელ სხივებს ირეკლავდა. გაოცებისგან სულგანაბულ გოგონას ისევ ჩაესმა ცის ხმა:

— ჩემო კარგო, ლამაზი ხარო, ხშირად რომ მიმეორებ, ლამაზი — ეს შენა ხარ, მუდამ ღიმილიანი; ღიმილიანი ადამიანი შენსავით ყოველთვის კეთილია, კეთილი კი — მდიდარი, ბევრი მეგობარი ჰყავს. ძალიან მინდა, დედამიწაზეც

მყავდეს შენისთანა მეგობარი.

შენ თუ გინდა, ჩემთან

მეგობრობა?!

უზომოდ გახარებულმა
გოგონამ, ცას თურმე
მეც ვუყვარვარო, მასთან
ჩახუტება მოინდომა; მაგრამ
სიზმარი ყოველთვის არაა
ახდენილი ოცნება. გოგონაც
ვერაფრით მოწყდა ლორთქო
მდელოს.



ცა ისევ ლაპარაკობდა, მართალია, შორს ვართ ერთმანეთისგან, მაგრამ მანძილი მეგობრებთან, აბა, რა მოსატანია. ისიც ვიცი, ერთმანეთს რომ ყველაფერში დავეხმარებითო. დამშვიდობებისას კი საბოლოოდ მოიგო გოგონას გული:

– შენ ხომ ია გქვია, მაგრამ უფრო კარგი იქნება, თუ ცის, შენი მეგობრის სახელსაც დაიმატებ. აბა, ნახე, რა ლამაზი სახელი გამოგვივიდა: ცის-ია.

აი, ასე გადაერქვა ცისფერთვალა იას თავისი სახელი.

ცის ნათქვამმა, ჩვენ ერთმანეთს დავეხმარებით, ცოტა არ იყოს, დააბნია ცისია: ნუთუ ამხელა ცას ჩემი იმედიცა აქვს? ნუთუ მისთვის რამეს მართლა შევძლებ?

მეორე ლამეს ისევ გამოეცხადა მოლაპარაკე ცა:

– ჩემო ცისია, ჩემო მეგობარო, შენ ჩემთან ერთად ბევრ რამეს შეძლებ! იცი, რით უნდა გაგაოცო და რა უნდა გამოგიგზავნო?!.. ლიმილები, უამრავზე უამრავი, რაც ასე აკლიათ ზოგჯერ ადამიანებს და არც იციან, როგორ ჭირდებათ ის!.. ყველა გაუცინარს თითო-თითო ლიმილი უნდა აჩუქო!.. ესაა ჩემი თხოვნაც და იმედიც, რომ არ გამანბილებ!..

გამოეღვიძა ცისიას და თვალებს არ დაუჯერა – ეცვა გრძელი თეთრი კაბა და ზედ ანცი ბავშვებივით უამრავი ლიმილი დახტოდა. არა, იმედს არ გაუმტყუნებს თავის მეგობარს; ივლის კარდაკარ, ეზო-ეზო და ყველას გაუწოდებს საჩუქრად ლიმილს, ვინც გზად შეხვდება, მაგრამ არ გაულიმებს.

ტრიალებდა სარკის წინ, ართობდა კაბის კალთაზე მიმოფანტული ლიმილები და ეჩვენებოდა, რომ ზოგიერთი ეპრანჭებოდა კიდეც. თქვე, მართლა, ონავრებო და ეშმაკის ფეხები, დამშვიდდით, ყველას დაგარიგებთ, დაგაბინავებთ, ლიმილით პირდებოდა ლიმილებს.

ასე დაინყო გოგონას მოგზაურობა დედამიწაზე ლიმილების გასამრავლებლად. არ ღლიდა ალმა-დალმა სიარული, მთასა და ბარში სტუმრობა, არ იღებდა გზა, ჭიშკარი თუ კარის ზღურბლი. ცისიას გული მხოლოდ მაშინ წყდებოდა, როცა შეხვედრისას ზოგიერთი პირქუში ასეთი უკმეხი სიტყვებით თავიდან იშორებდა მას:






— მე არ ვიღიმები!.. მისამართი შეგეძალა!..
ლიმილი არაფერში მჭირდება!.. ლიმილი
სულელების მოგონილია!.. მის გარეშეც
მშვენივრად ვგრძნობ თავს და ა.შ.

მაგრამ გოგონა სულმოუთქმელად ელოდა
დალამებას და სიზმარში ისევ და ისევ ცასთან განმარტოებას;
რომ მეგობრისითვის ეხარებინა, ძალიან ბევრი ადამიანი
იმ ერთით მეტმა ლიმილმა როგორ გაალალა, გააბედნიერა.
ეტიტინებოდა ცას, რომ, რაც შეიძლება, მეტი ამბის მოყოლა
მოესწრო სიზმარში. არადა, ცამ ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდა.

— ჩემო გოგონა, მე ცა ვარ, დედამიწელები კი ხელის გულივით
ახლობლები. მე მათ ჩემი სიმაღლიდან ვუფრთხილდები
და ვდარაჯობ. ხო, დავინახე, ზოგიერთმა ციდან
გამოგზავნილი ლიმილი არაფრად რომ არ ჩათვალა;
მაშინ მოვიწყინე, მოვიღრუბლე და ფთილა-ფთილა
მუქფერად ავჭრელდი. აბა, გაიხსენე, რამდენჯერ
დასველდი გზაში. ეს მე ვიყავი, ღრუბლის ქულიდან
წვეთ-წვეთად გადმოღვრილი. როცა ადამიანები
გულს მტკენენ, ასე ვტირი წვიმებით. მერე მზემ,
ჩემმა აქაურმა საუკეთესო მეგობარმა დამამშვიდა,
ზედმეტად არ იჯავრო, ადამიანებს იმდენად უხდებათ
ლიმილი, რომ ცისიას კიდევ ძალიან ბევრი მოიძიებს ლიმილისთვის...
მთავარია, შენ არ დაიღალო, ჩემთ ლიმილიანო ცისია!..

ლამის დრო ილეოდა... სიზმრის ხე-ყვავილი უფრო
გაზრდილიყო, აწონილიყო ცისკენ, ამჯერად უკვე ფერად
ვარსკვლავებად შეფოთლილი. გოგონას მშვიდად ეძინა, ციდან კი
დედამიწელებისითვის ფანტელებად და საჩუქრებად ისევ ცვიოდა
ლიმილები.



თინათინ პვირიპაპე

მაძღვანი

ფრთახატულა, ფაფხურა
დეზიანო მამალო,
ცაზე ქორი დაფრინავს,
ხომ არა გსურს, დაგმალო?!




წერუ ჯანელიძე



მაყვალა მრევლიშვილი

გაზაფხული

გაიღვიძებს ენძელა,
გაიღვიძებს ია,
ამ სითბოს და სიხარულს,
გაზაფხული ჰქვია!

**იხვების პიკნიკი**

მწკრივად, რიგის მიხედვით
სად გარბიან იხვები?
სად და, დახეთ, ისევ
გაყინული ტბისკენ.

დაიწყებენ სრიალს,
ფეხს არ გაისვრიან,
მოიწყობენ ტბაზე
პიკნიკს ხალისიანს.

"კორჩიოფას პასუხებით" მედამ გვახადისებს, გვაოცებს ჩვენი პატარების "ახალწილაშვილი ლოგიკა". ამჯერად თავისი ბავშვები, მაგრამ საინტერესოდ გააზრებენ პასუხებით მოგვხიბდა ანასტასია ღვარაძემ, "აფენოს" "ფიქინის" ჰესპოლერმა".

ანასტასიას ბებოსგან ისის შევიტყვეთ, რომ მას ძალან უყვასს თოვინები, ბალი, ცეკვა, ზღაპრები, სიმღერები; ყითვების დასმა, რომ მეტე მოისმინოს პასუხები (ახგამენური ბებები, თანაც, ღებალებში); ყველოვნის ზესკად იყის, "ის ჩალაკა" ჩატამ და როგორი ენდა. უკაშის ხმამაღლა ფიქინის; ოქნებით ხან მესიურსი და ხანაც აჩქურექური, ხან მსახიობი და ხანაც ექიმი. თეხავს "ზეპი ღებების", მაგრამ, დასანანია, ის ჯერ ახავის ჩაუწენია. საოცხად გაახახებ, თეპი ღაპტებით ან შესთავაზებ თეპაში წასვას; ძალზე "პოპულარული" ბალში და, იყით, ჩატამ? თანაურების გახდა უფროსებითანაც ეხოობ საინტერესო კუნცაქებს ამყანებს.

ანასტასია უფრო ხშირად იღია, ვიზე ბავშვი, "გაგვიმხილა" ანასტასიას მამიკომ.

– რა არის აქსიომა?

– სამკუთხედია, შუაში ღილაკი აქვს, ანათებს და რასაც კითხავ, ყველაფერს გიპასუხებს.

– რა არის პარლამენტარიზმი?

– ქუჩა.

– რა არის სამშობლო?

– ქვეყნის დაბადების დღეს რომ დროშებით აღნიშნავენ.

– ვინ არიან ერთმანეთისთვის ცოლი და ქმარი?

– ბიჭი და გოგო.

– რა არის პეიზაჟი?

– ვენტილატორი

– ბიჭებს რატომ არ აცვიათ კაბები?

– იმიტომ რომ გოგოები არ არიან და თან

არ უხდებათ.

– რა არის კრედიტი, დებეტი?

– კრედიტი – სამზარეულოს ნივთი,

დებეტი – ტელეფონის დამცავი.

– შენ ხარ ჩვენი პატარა რესპონდენტი.

როგორ ფიქრობ, ვინ არის რესპონდენტი?

– რესპონდენტი არის ლამაზი მოდელი

გოგო.

– რას აკეთებს ნიუტონი?

– ცეკვას ასწავლის.

– ვინ არის ლენინი?

– ზარმაცი ადამიანი.*

– რა ხდება ცხრა მთას იქით?

– იქ ბევრი წყალია.



ანასტასია დვალაძე

- რა არის პალიტრა?
- ლიტრების გასაზომი.
- როგორია თავკერძა ადამიანი?
- ადამიანი თმების გარეშე.
- როგორია შხაპუნა წვიმა?
- ხმაურიანი წვიმა.
- შევიდა „ტალავერში“, ანუ სად შევიდა?
- ბანკომატში.
- როგორ ფიქრობ, ლექსები როგორ იწერება?
- სიტყვებს ალაგებ ისე, რომ ერთმანეთს მოუხდეს.
- რას აკეთებს ჯაყო?
- ჯაყო თხრის რაღაცეებს.
- როგორი ადამიანია ორგული ადამიანი?
- სიყვარული რომ შეუძლია.
- როდის ტყედება ციხე შიგნიდან?
- როცა ჩაქუჩით დაამტვრევ შიგნიდან.
- რას ნიშნავს „ჰიპერტონია“?
- ადამიანს, რომელიც წერს წიგნებს.
- ვინ არის ბერმუხა?
- ფერმის დამლაგებელი.
- რას ნიშნავს „გატყოურდა“?
- სამსახურიდან რომ გაგაგდებენ, იმას.
- რა ხდება რევოლუციის დროს?
- ცეცხლი ჩნდება.
- ვინ არის აქტიორი?
- გამომგონებელი.
- ძალი რატომა ადამიანის მეგობარი?
- იმიტომ, რომ უყვარს ადამიანი და ეჩვევა ადამიანებს.
- სახელი ვის უტყედება?
- იმას, ვინც ლაპარაკი არ იცის კარგად.




ანასტასია დვალაძე

- ვინ ზის პარტერში?
- ვინც დოკუმენტებს პეჭდავს.
- რა ხდება დეპორტაციის დროს?
- დეპორტაციის დროს ვიღაცა ვიღაცას დოკუმენტებს აძლევს.
- ლამე სად მიდის მზე?
- არსად არ მიდის, პლანეტა ტრიალებს და არ ჩანს ხოლმე.
- შენ ხარ დედისერთა. რას ნიშნავს „დედისერთა“?
- დედის ერთგული.
- რას მოიმოქმედებდი, პრინცესა რომ იყო?
- ყველას დავეხმარებოდი, ვაჭმევდი ყველას, ბავშვებს ნაყინებს დავურიგებდი.
- ანასტასია, ძალიან დიდი მადლობა, რომ ხარ ასეთი კეთილი და გონიერი.

თრთლივება

ვერა ინგერი

რუსულიდან თარგმნა დალი გუსაძემ



ორმოცფეხა ქალბატონს

შეეძინა შვილები,

ციცქნა ორმოცფეხები,

აწეული ცხვირებით.

ეს რა სიხარულია!

სახლში ურიამულია!

სულ თეთრეულს აშრობენ,

ტკბილ ღვეზელებს აცხობენ,

ჩვენს მატლუკებს უვლინ

დედიკო და მამიკო.

ოცდაცამეტ საწოლში

სათითაოდ წვანან,

ორმოცფეხა ციცქნები

სულ დედიკოს ჰეგვანან.

მამა სამსახურიდან

დალლილი რომ ბრუნდება,

მთელ საღამოს ციცქნების

დაწყნარებას უნდება.

თამაშობენ, დახტიან...

– მოტყუუბა არ იყოს! –

იგუდება სიცილით

ორმოცფეხა მამიკო.

– დრო მიდის და ნელ-ნელა

იზრდებიან მატლები,

ფეხსაკმელი არა აქვთ –

არც მეტი, არც ნაკლები,


ჩქარა უნდა ვუყიდოთ!

თორემ ასე ფეხშიშველს –

ან ბაღში, ან სკოლაში,

განა ვინვე შეგვიშვებს?!

გადაწყვიტეს, ბოტები
 რომ ჩაიცვან ცელქებმა...
 მაგრამ დათვლა ხომ უნდა,
 ვის რამდენი ერგება?
 დასხდნენ საანგარიშოდ,
 თითქოს არაფერია!
 მაგრამ დედას და მამას
 პასუხი აერიათ!
 – თითო ფეხზე თუ თითო
 ბოტი უნდა ვიყიდოთ,
 ოცდაცამეტჯერ ორმოცს
 სად ვიშვიოთ, ვის ვეითხოთ?
 საღამომდე ითვალეს,
 აი, უკვე ბინდდება,
 ორმოცფეხას ბოტები
 სულ რამდენი სჭირდება?
 ამრავლეს და ამრავლეს,
 მთლად ჩაიწვა სანთელი...
 ბოტი უნდათ ნამდვილად,
 მაგრამ მაინც – რამდენი?
 აღარ შემიძლიაო,
 თქვა დედიკომ ყასიდად
 და თვლამობეზრებული
 სასეირნოდ წავიდა.
 ხედავს, ლურჯ გუბურაში
 თვლემს ცალ ფეხზე წერო,
 იქვე წეროს შვილია –
 ცალფეხშეკეცილია.
 ოხრავს, ტირის დედიკო,
 მოთქვამს სქელი ბოლოლა,
 აფსუს, მეც რომ ცალფეხა
 მატლუკები მყოლოდა!



ელენიკო, 3 წლის

ელენიკო დილიდან ცელქობდა.
ყველაფერზე ურჩებოდა მშობლებს.
თამაშში გართულმა საჭმელზეც უარი
თქვა. დავტუქსავო და მამიკომ ელენიკოს
მსუბუქად მოწინენა თმები (რასაც არ
იყო ჩვეული). პატარა უსიტყვოდ წავიდა
სამზარეულოსკენ. მხოლოდ ძილის წინ,

როცა მამიკო გვერდით მიუწვა, ელენიკომ მას „საქმე გაურჩია“:
— ისე, რომ, იცოდე, მამიკო, მამები თმებს რომ წინენიან შვილებს,
შვილებს თმაც და თავიც სტკივათ!



ერეკლე, 6 წლის

ერეკლე დედასთან ერთად ეკლესიიდან გამოვიდა. იქვე მათ ძალმა
გადაურბინა. ბიჭუნამ თვალი გააყოლა:

— დადუ, ძალი რომ კვდება, იმისი სულიც ცაში ადის?
იმ დღეს საეკლესიო ქადაგებისას სულზე იყო საუბარი.
დედამ აუხსნა, რომ ცაში მხოლოდ ადამიანის სული ადიოდა. მერე
მიუბრუნდა პატარას:
— კი, მაგრამ, ერეკლე, შენ იცი, რა არის სული?
— ვიცი! — დამაჯერებლად უპასუხა ბიჭუნამ.
საუბრისას დედა-შვილი გაუსწორდა მრავალსართულიან კორპუსს.
— იცი, დადუ, რა არის სული? — დაიწყო ერეკლემ ახსნა, — აი, დიდი
სახლის ქვეშ რომ მოექცეს და ეს დიდი, სართულებიანი სახლიც ვერ
მოერიოს მას, ესაა სული....

საბა, 5 წლის

საბავშვო ბაღში საბას სხვა პატარებთან ერთად მათემატიკის
„გაკვეთილს“ უტარებდნენ. აღმზრდელი შეეკითხა ბიჭუნას:
— საბა, შენ გაქვს 1 ლარი; მამიკოს თუ სთხოვ კიდევ 1 ლარს, სულ
რამდენი გერება?

საბა არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:
— ისევ 1 ლარი!
— ნუ ჩეარობ, კარგად დაფიქრდი!
რატომ იგივე თანხა?!.
— თქვენ არ იცნობთ მამაჩემს და
იმიტომ! — უპასუხა დინჯად საბამ.



ალინა ჩაგანავა

ჭორებას წევზე

წიპწიპა წიწილამ
წრიპინა წიწილას,
ახალი ამბავი
მიუწინწილა:

წიწკინა წიწილამ,
ჭია რომ იხილა,
შიშისგან, ელდისგან
იმდენი იწივლა,
ვერ დაამშვიდა
და-ძმების სიცილმაც!



თენი ჯანელიძე

ბზი ლა ბზუ



ერთ მშვენიერ, ყვავილებით
მოჩითულ ველზე იდგა
ასწლოვანი, დრო-უამისგან
დაფუღუროებული ხე, სადაც
ფუტკრების ორი ოჯახი
ცხოვრობდა. შრომისმოყვარე
ფუტკრები დღედაღამ დაუღალავად
ირჯებოდნენ და იმ მხარეში
ყველაზე გემრიელ და სასარგებლო
თაფლს ამზადებდნენ; დილაადრიან
იწყებდნენ თავიანთი სკების სიახლოვეს
ფუსფუსს და გრძელი ნესტრით ყვავილების

ბუტკოებიდან ოსტატურად იღებდნენ ტკბილ ნექტარს. დაუზარელი
ფუტკრები ჯერ სკების სიახლოვეს მოყვავილე მცენარეებს დაივლიდნენ,
მერე კი შორეული, ათასფერი ყვავილებით სავსე მინდვრებისკენ გასწევდნენ.
ქარსაც და წვიმასაც ბევრჯერ უმკლავდებოდნენ, იქანცებოდნენ კიდეც,
მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდნენ, რაკი შინ სურნელოვანი
ნექტრით ბრუნდებოდნენ.

ფუტკრები, რაკი ერთ ხეში ცხოვრობდნენ, ოჯახებით მეგობრობდნენ. განსაკუთრებით, ორ ახალგაზრდა ფუტკარს, ბზისა და ბზუს მოსაწონდათ ერთმანეთი. მეგობრები საკვების მოსაპოვებლად ხშირად ერთად დაფრინავდნენ და გზაში მხიარულადაც მღეროდნენ.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ფუტკრებს ზურგჩანთანი მოგზაური რომ არ სწვეოდა. კაცმა ორივე სკიდან ცოტაოდენი თაფლი ამოილო, სამაგიროდ კი, ფუტკრებს ბლომად დაუყარა შაქარი.

სწორედ იმ დღიდან აირია საფუტკრეთში ყველაფერი. ბზიმ და მისიანებმა ძველებურად განაგრძეს ცხოვრება, დაულალავად შრომობდნენ და თაფლსაც საუკეთესოს ამზადებდნენ; ბზუმ და მისმა ახლობლებმა კი, აქაოდა, თვალწინ შაქარი გვიყრია და შრომით თავი რატომ შევიწუხოთ,

ფეხი ფეხზე გადაიდეს და არხეინად
დაინებუს შაქრის წუნა.



ცხოვრების წესის
შეცვლამ ბზის და ბზუს
მეგობრობასაც გაუჩინა
ბზარი. რაკი სხვადასხვა
გზა აირჩიეს, თანდათან
ერთმანეთს ჩამოშორდნენ
კიდეც.

„ბზი, ბზი“, ისმოდა
ბზის ოჯახიდან, სადაც
დაუზარლად ბზრიალებდნენ, გემრიელ,
მარგებელ თაფლს ძველებურად დიდი
შრომის ფასად ამზადებდნენ და
იქაურობაც სულ ბზინავდა და
ელვარებდა.

„ბზუ, ბზუ“, ისმოდა
ბზუილი ბზუს ოჯახიდან,
სადაც დღედაღამ შაქარს

მიირთმევდნენ და სკის გარშემო მთვრალებივით დარეტიანებულნი დაბზუილობდნენ.

ბზი ძალიან სწუხდა ბზუს გამო, ცდილობდა, გამოეფხიზლებინა, შეეგონებინა, რომ არ შეიძლება, ფუტკრებმა თავიანთ ბუნებას უღალატონ, თორემ გადაგვარდებიან და საბოლოოდ დაიღუპებიან. ბზუს არაფრის გაგონება სურდა, თვითკმაყოფილი ხან ერთ მხარზე გადატრიალდებოდა, ხან-მეორეზე.

ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა ზურგჩანთანი კაცი, ისევ ამოილო ორივე სკიდან რამდენიმე ფიჭა თაფლი და დიდად კმაყოფილი წავიდა კიდეც სახლში.

ბზი თავის ოჯახთან ერთად კვლავ თავდაუზოგავად შრომობდა, ბზუ კი შაქრის გარშემო დაფრინავდა და ბზუილით იკლებდა იქაურობას.

თანდათან ბზუმ და ბზუსიანებმა სრულიად მიივიწყეს თაფლის მოპოვების მართალი წესი და მალე უსაქმურობისგან ისე დაავადნენ და დაუძლურდნენ, ფრენის თავიც აღარ ჰქონდათ.

მალევე ზურგჩანთიანი კაცი კელავ დაბრუნდა, მაგრამ ძველებურად თაფლის ამოღება არ უჩქარია. ბზუს ოჯახი რომ ავად დაუხვდა, ამან კაცი ჩააფიქრა, ზურგჩანთა მოიხსნა და იქვე, ხის ძირას დაჯდა.

ბზი ახალი დაბრუნებული იყო შორეული ველებიდან, დაღლილი და მოშეიბული, მაგრამ კაცი რომ დაინახა, სკის ირგვლივ დაიწყო ფრენა, თითქოს იმის გაგება სურდა, მოგზაური რას მოიმოქმედებდა.

ზურგჩანთიან კაცს ამჯერად შაქრიანი ტომარა არ დაუტოვებია ფუტკრებისთვის.

ბზუ და მისიანები ერთხანს კი იყვნენ წინა წლიდან შემორჩენილი შაქრის იმედად, მაგრამ შემდეგ გაიაზრეს, თუ არ ვიშრომეთ, ამ ზამთარში, ალბათ, შავი დღე დაგვადგებაო და განგაშის ზუზუნი დასცეს. ბზის სმენას რა გამოეპარებოდ, ან მეგობარს გაჭირვებაში როგორ დატოვებდა; ამიტომ სასწრაფოდ მოიფიქრა ბზუს გადარჩენის გეგმა.


თავიდან კი გაუჭირდათ შაქრის კმაყოფაზე გადასულ ბზუელებს სამუშაოების დაწყება, უმწეო ბზუილით დაფრინავდნენ თითქმის დავსებული სკის გარშემო, მაგრამ მალევე ძველებურად დაიწყეს ფუსფუსი. ჯერ ახლომახლო ყვავილები შემოიფრინეს, შემდეგ კი ბზიელებთან ერთად შორეული ველებისაკენ ნაზუზუნდნენ. ველებსა და ყვავილებს კი რა გამოლევს ქვეყნად! მთავარია, მისი ძიებისა და ნახვის სურვილი არსებობდეს!

ზურგჩანთიანი მოგზაური ერთხელ კიდევ დაბრუნდა ყვავილოვან ველზე და როდესაც ორივე სკა ძველებურად სავსე დაუხვდა, ძალიან გაიხარა. ალბათ, გულში შერცხვა კიდეც, დათვური სამსახური რომ გაუწია ფუტკრებს.

ამ ამბების შემდეგ ასწლოვანი ხის ფულუროში მცხოვრებ ფუტკრებს არასოდეს უღალატიათ თავიანთი ბუნებისთვის, დღედაღამ დაუღალავად შრომობდნენ და სურნელოვან, გემრიელ, სამკურნალო თაფლს ძველებური მუყაითობითა და სიყვარულით ამზადებდნენ.

ბზიც და ბზუც ძველებურად სულ ერთად დაფრინავდნენ შორს, ძალიან შორს უტკბესი ნექტრის მოსაპოვებლად, არაფერი აშინებდათ და გზაში მხიარულ სიმღერებსაც ერთად მღეროდნენ.





„მასიან მასწავლებელი“. ნინო გაგალია. 6 ტყის.